

რეჟიმისა და ლიდერობის ტიპის გავლენა საკადრო პოლიტიკაზე

სანდროშვილი თინათინი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე
საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ეგუტია, დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თინათინ სანდროშვილი

04/07/2015

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა წარმოადგენს მცდელობას გამოავლინოს რეჟიმისა და ლიდერობის ტიპის გავლენა საკადრო პოლიტიკაზე საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. მოცემული საკითხი გაანალიზებულია თეორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში, რაც მკითხველს შესაძლებლობას აძლევს შეადაროს პრაქტიკაში არსებული ფაქტები თეორიულ საფუძვლებს, ასევე მოხდეს სხვადასხვა მთავრობის დროს არსებული პოლიტიკების შედარება და მათი საერთო და განმასხვავებელი თვისებების გამოვლენა.

მოცემული ნაშრომის მიზანია გააღრმავოს არსებული ცოდნა საქართველოში დღემდე არსებული რეჟიმების, ლიდერობის ტიპების შესახებ და მოახდინოს საკადრო პოლიტიკის რეფორმების ანალიზი ლიდერების ცვლილების ფონზე. კვლევის საგანს წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის დინამიკა, სახელმწიფოს მართვის კონტექსტში.

ნაშრომში გამოყენებული თვისებრივი კვლევის, კერძოდ კი პროცესის მიყოლის და კონტენტის ანალიზის მეთოდი გვეხმარება გავანალიზოთ საკადრო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები და მთავრობების ცვლილების გავლენა აღნიშნულ პროცესზე.

კვლევა ამტკიცებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ლიდერობის ტიპისა და რეჟიმების ცვლილებასთან ერთად საკადრო პოლიტიკა რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის, რაც ლიდერების პიროვნულ და პოლიტიკურ ინტერესებზეა დაფუძნებული და აწვდის რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობას ნეოპატრიმონიალური სახელმწიფო მართვის სისტემის რაციონალური მმართველობის სისტემად გარდაქმნისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნეოპატრიმონიალიზმი, რეჟიმი, ბიუროკრატია, მმართველობა, ლიდერი, ლიდერობა, საჯარო სექტორი, საკადრო პოლიტიკა.

Abstract

The study can be viewed as an attempt to examine impact of regime and leadership on Personnel Policy in Georgia since independence. The issue is analysed in theoretical and political context, which creates opportunity for readers to compare existing facts in practice to theoretical basics and analyze policies and politics of different governments to find similarities and differences between them.

The study aims at expanding existing knowledge about regimes and leadership styles in Georgia and analyze the reforms of Personnel Policy. The subject of the study is dynamics of Personnel Policy in the period of political changes in Georgia.

Qualitative research methodology, such as process tracing and content analysis that is used in research assists to analyze ongoing changes in Personnel Policy and the influence of government changes on the process.

The Research proves that since Georgia declared independence Personnel Policy has been changing simultaneously with regime and leadership changes, which is based on personal and political interests of the political leader. The study also provides recommendations to Georgian governments to change neopatrimonial public management with rational public management.

Key Words: Neopatrimonial, Regime, Bureaucracy, Governance, Leader, Leadership, Public Sector, Personnel Policy,